საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

გოჩა აბუსერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თამარ ოქროპირიძე?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
გოჩა აბუსერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად *კანდიდატ თამარ ოქროპირიძის* საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო **თამარ ოქროპირიძემ.**

ზემოაღნიშნული კონკურსის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N2 წარდგინების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი 9 კანდიდატიდან, 2021 წლის 12 ივლისის საპარლამენტო კენჭისყრის შედეგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანამდებობაზე არჩეულ იქნა მხოლოდ 6 კანდიდატი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატის/კანდიდატების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე აურჩევლობის შემთხვევაში, კანდიდატებად რეგისტრირებულ პირთა სიაში მითითებული კანდიდატებიდან, ამავე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით შეირჩევა იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არსებობს და ის/ისინი ამავე მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 4 ნოემბრის N1/182 განკარგულების თანახმად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი, მათ შორის **თამარ ოქროპირიძე.**

პროცედურაში მონაწილე კანდიდატის შესახებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის, კანდიდატის საჯარო მოსმენისა და კანდიდატის შეფასებათა გაცნობისა და ანალიზის შედეგად დადასტურებულად მივიჩნიე, რომ **თამარ ოქროპირიძე** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც ვიღებ გადაწყვეტილებას მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე არჩევის მიზნით საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად **თამარ ოქროპირიძის** კანდიდატურას.

გოჩა აბუსერიძე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

„12“ ნოემბერი, 2021 წელი